ოქმი:**ო03. 3723319001**
თარიღი:**15/11/2023**

ოქმი № 18

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2023 წელი, 27 ოქტომბერი

ქ.ოზურგეთი

16:00 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის

თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ.ღაჟონია, ბ.თოიძე, ქ. ხომერიკი, ლ.ბიგვავა, მ.ვაშალომიძე; ბ. მელუა,ნ.ქარჩავა

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი,რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.“ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ 2022 წლის 23 დეკემბრის N33 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

კომისიის თავმჯდომრე გელა ჩავლეშვილმა, კომისიის წევრებს დეტალურად გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი. როგორც მან აღნიშნა, საანგარიშო პერიოდში დამტკიცებული ბიუჯეტის ცვლილება ორგზის განხორციელდა. საბიუჯეტო ცვლილების შედეგად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გადააჭარბებს 75 მილიონიან ზღვარს. იზრდება ისეთი პრიორიტეტები, როგორიცაა ინფრასტრუქტურა, განათლება, კულტურა, სპორტი და ადგილობრივი ეკონომიკური მხარდაჭერა. თავმჯდომარემ კომისიის წევრებს დეტალურად წარუდგინა შესრულების, გადასახდელებისა და ხარჯების მაჩვენებლები.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მიზანშეწონილად მიიჩნიეს,2023 წლის ბიუჯეტის ცვლილების და დამატების პროექტი წარდგენილ იქნას საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე განხილვა-დამტკიცების მიზნით

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი